01/10/2024

MES 3 24 0001240564

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 20 სექტემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Sep 20, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89788110168?pwd=rWdcWgaujpzp4PQe9UDSh6PslDEDVJ.1
Meeting ID: 897 8811 0168
Passcode: 830278

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
კახაბერ ერაძე - დირექტორის მრჩეველი კვლევით და პედაგოგიურ საკითხებში
ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“
ფრიდონ ბუაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლიანა კერვალიშვილი - ზრდასრულთა კოორდინატორი
თათია არაბიძე - შპს ,,ბლაუენშტაინის“ დირექტორი
თენგიზ აკობია - ფერმის მენეჯერი
ნინო ელბაქიძე - განათლების ექსპერტი
ნიკა ჩაჩხიანი - საგრანტო პროგრამის ხელმძღვანელი
თეა ცომაია - განათლების ექსპერტი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
სოფიო სუხიშვილი - დირექტორი
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი
ივანე ბალახაშვილი - იურისტი
ნინო ჩობანიანი - „კალმახის მოშენების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
მანუჩარ ცეცხლაძე - „კალმახის მოშენების სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
დიმიტრი კურტანიძე - შპს ბიომარის წარმომადგენელი

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით ჯალაღონია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ფოჩხუა - „სამედიცინო ლაბორატორიის ტექნიკური ასისტენტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხელმძღვანელი

შპს ელიტ ტექნოლოჯი
შოთა გეთია - კომპანიის დირექტორი
თორნიკე ოქროპილაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრი ლეპოტა
ია გიგიბერია - დირექტორი
მარიამ აბაშიძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი
ნინო ძაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი
მარიამ პაპიაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

შპს ბაუმერი
რევაზ ქამაშიძე - დირექტორი
ნინო გვარაძე - ბაუმერის აკადემიის ხელმძღვანელი
ლაშა ქარელი - „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ლევან ყირიმლიშვილი - ინფინიტი ვენჩერს ჰოლდინგის დამფუძნებელი

შპს რებელ სტუდიო
ია ცუხიშვილი - დირექტორი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტები:
ფრიდონ გოგიაშვილი
მანანა დოლაბერიძე
ვალერი ჯაჯანიძე
ირმა ორაგველიძე
ელისო მურვანიძე
საბა მოდებაძე
ნინო ბოკუჩავა

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა“ /02096/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საწყობის ლოგისტიკა“ /02098/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“ /02049/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ /02050/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“ /02051/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“ /02052/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“ /02053/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ /02054/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ /01969/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /02075/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს ელიტ-ტექნოლოჯში „საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი“ /02060/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტას „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02100/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

13. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ /02005/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

14. შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება" /02056/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

15. შპს რებელ სტუდიოს „ვიზაჟისტი“ /02074/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა“ /02096/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საწყობის ლოგისტიკა“ /02098/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ფრიდონ გოგიაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №1036279 და №1036295 ბრძანებების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ფრიდონ გოგიაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა ნანი დალაქიშვილმა 6 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ში, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი, 18-22 - ში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკის" პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, 8-22.
„საწყობის ლოგისტიკის" პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 60, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, 8-22.
პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას ელ. სისტემაში წარმოდგენილი აქვს დასაბუთების დოკუმენტები, წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს პროგრამების საჭიროებას.
პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსს. აღნიშნულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტები შეირჩევიან გასაუბრების შედეგად.
სწავლების პროცესში მსმენელები მიიღებენ თეორიულ ცოდნას და და შეიძენენ პრაქტიკულ უნარებს აკადემიის თეორიულ/სიმულაციურ სასწავლო გარემოში, ხოლო მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში გაივლიან პრაქტიკულ ნაწილს შპს ,,GAKOTERMINAL" რეალურ სამუშაო გარემოში. სასწავლო პროცესს ექნება ინტერაქციულ-პრაქტიკული სახე და შესაბამისი სიმულაციური ამოცანების მეშვეობით მსმენელები გაიმყარებენ თეორიულ ცოდნასა და პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ უ ნ ა რ ე ბ ს .
პროფესიული მომზადების პროგრამების ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, ამისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები რამდენიმე კომპანიასთან, შესაბამისად მსმენელებს კარგი შესაძლებლობა ეძლევათ გაიარონ სტაჟირება რეალურ სამუშაო გარემოში. კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი მზაობა, გაატარონ სტუდენტებს სტაჟირება.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, 3.1-3.7 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია, აკადემია აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან; საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.
დაწესებულება წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/-ზე ასახვას; დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებული პროგრამები, შესაბამისად დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში - Eflow.
დაწესებულებას აქვს სერტიფიკატის გაცემის პროცედურები, კერძოდ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების კურსდამთავრებულზე გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი. სერტიფიკატთან ერთად გასცემს სერტიფიკატის დანართს, სადაც პროგრამის სწავლის შედეგები, მიღწეული ცოდნა და უნარებია მოცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კითხვები არ ჰქონდა პროგრამასთან მიმართებაში, და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ბატონ კახაბერ ერაძეს, დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს, დარგის ექსპერტს, საბჭოს წევრებსა და SBA გუნდს.
ამის შემდეგ მან, როგორც SBA წარმომადგენელმა, რომელიც არის დირექტორის მრჩეველი კვლევით და პედაგოგიურ საკითხებში, აღნიშნა, რომ ისინი პროგრამას ახორციელებდნენ სამი წლის განმავლობაში და დაახლოებით 150-მდე კურსდამთავრებული ჰყავდათ, ხოლო პროგრამის დასრულების მაჩვენებელი დაახლოებით 80%, მან აქვე ისიც აღნიშნა, რომ სამი წლისთვის ეს არ არის დიდი რაოდენობა, თუმცა მაინც გადაწყვიტეს, რომ განაგრძონ პროგრამის განხორციელება იმიტომ, რომ ეს ბიზნესისთვის არის მნიშვნელოვანი. მან აღნიშნა, რომ პროგრამა მნიშვნელოვნად შეიცვალა სატრანსპორტო ლოგისტიკის ნაწილში და დაერქვა მას ციფრული ლოგისტიკა, რადგან დღესდღეობით ეს ტურიზმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, ამ არგუმენტის გასამტკიცებლად მან საქსტატის მონაცემებიც მოიშველია და აღნიშნა, რომ 6% არის მშპ-ის ზრდის წილი ლოგისტიკასა და სასაწყობო მეურნეობაზე, ის მერვე ადგილზეა სხვადასხვა ინდუსტრიებს შორის, რაც მისი აზრით სწორედ ამ მიმართულების მნიშვნელობაზე მეტყველებს, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რატომაც გადაწყვიტეს, რომ განაგრძონ ამ მიმართულებებით პროგრამების მიწოდება მათი პარტნიორებისთვის. აქვე ბატონმა კახაბერმა მადლობა გადაუხადა თავის პარტნიორებს და აღნიშნა, რომ მათ გუნდს ჰქონდათ სასიხარულო ახალი ამბავი, რომ ისინი გახდნენ ევროპის ფორუმის წევრი ტექნიკური და პროფესიული განათლების მიმართულებით, ეს არის ყველაზე დიდი ორგანიზაცია ევროპულ სივრცეში პროფესიული განათლების მიმართულებით, რომლის წევრობაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლია, მან აღნიშნა რომ ამ ორგანიზაციის წევრობა დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯებმა შეინარჩუნონ კავშირი ევროპულ სივრცესთან, მან განაცხადა, რომ ისინი იმედოვნებენ წელს, ან მომავალ წელს პირველი ერთობლივი გაცვლითი მოკლევადიანი პროგრამით მიმართონ ცენტრს და ამ საკითხთან დაკავშირებით ინტენსიურად მიდის მუშაობა, მათ ჰყავთ უკვე პარტნიორები და ცდილობენ ურთიერთობების დამყარებას, სწორედ ეს არის მათი უახლოესი მიზნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა“ /02096/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა /02096/ **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის „საწყობის ლოგისტიკა“ /02098/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ის (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საწყობის ლოგისტიკა /02098/ **(დანართი 2).**

საბჭოს სხდომას 12:25 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი ნინო ველთაური

3. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“ /02049/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ /02050/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“ /02051/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“ /02052/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“ /02053/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ /02054/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 22 აგვისტოს №1004641, №1004644, №1002218, №1004439, №1002254 და №1002272 ბრძანებების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ამროსი ჭკუასელმა განახორციელეს ვიზიტი 2, 3 და 4 სექტემბერს სსიპ კოლეჯ „ერქვანში“, მისამართზე: ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას №10, სადაც განხორციელდება პროფესიული გადამზადების პროგრამები - „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“, „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“, „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“, „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური

განაყოფიერება“ და გურგენიძის ქ. №10, სადაც განხორციელდება პროფესიული გადამზადების პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ და პროფესიული მომზადების პროგრამა „მეცხოველეობა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ კოლეჯთან ერთად, სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება შპს „ბლაუენშტაინ ედუ“-სა, და შპს „ბლაუენშტაინ საქართველოს“ ბაზაზე, მისამართზე - ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი შარდომეთი.

წარმოდგენილი პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობაა - 8 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15-15 ყველა პროგრამაზე, ხოლო „მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა - 36 კვირა. ექვსივე პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4.

შემდეგ ცენტრის წარმომადგენელმა მოკლედ ისაუბრა ქვესტანდარტებთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით პროგრამების საჭიროების დასაბუთების შესახებ.

პროგრამების სახელწოდება, მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების შინაარსს.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროფესიული გადამზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა: სამუშაო გამოცდილება მეცხოველეობის სფეროში ან/და საკუთარი ფერმერული მეურნეობის მართვა - 1 წელი. ან განათლება - პროფესიული ან უმაღლესი კვალიფიკაცია - 08-სოფლის მეურნეობა, ვეტერინარიაში. ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, კოლეჯს პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დაწესებულებასთან „ბლაუენშტაინ ედუ“, „ბლაუენშტაინ საქართველო“, მისამართზე - სოფელი შარდომეთი.

წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2-2 კვალიფიციური განმახორციელებელი პირი, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტებით და გასაუბრებით, მატერიალური რესურსი ყველა პროგრამის განხორციელებისთვის საკმარისია როგორც დაწესებულებაში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციაში, რასაც ადასტურებს სასწავლო გარემოების აღჭურვილობის დოკუმენტაცია და წარმოდგენილი ფოტომასალა.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია. დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში; აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან; უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას; საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს; კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას; თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორცი-ელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას; გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კითხვები არ ჰქონდა. ამის შემდეგ საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა აღფრთოვანება გამოხატა ამ სტანდარტიზებული და მოწესრიგებული გარემოს მიმართ, სადაც მიმდინარეობს ხორცპროდუქტების ასე დამუშავება, მან აღნიშნა, რომ ძალიან სასიამოვნოა სასწავლო პროცესის მიზნებისთვის, როცა კერძო სექტორი ასეთი ინფრასტრუქტურით შემოდის.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს კომპანია მისთვისაც ხარისხთან და დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული და დაწესებულებისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნება და მსმენელებისთვის თავისთავად.

ამის შემდეგ თეა ოსეფაშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო ძალიან კარგი ტანდემი კერძო და საჯარო ურთიერთობის, ეს იყო განათლების და კერძო სექტორის, კომპანიის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით შემუშავებული პროგრამები და არა მარტო პროგრამები, არამედ ინფრასტრუქტურა, რომელიც წლებია არსებობს საქართველოში და მათ ყოველთვის ჰქონდათ სურვილი მიეღოთ მონაწილეობა კვალიფიკაციური კადრების მომზადებაში.

კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის დანერგვა იყო კომპანიის ინიციატივა და მას მადლობა გადაუხადა. რადგან შესაძლებლობა მისცა კერძო სექტორს და საჯარო სექტორს ეთანამშრომლათ მეცხოველეობის სფეროში.

ამის შემდეგ ბლაუენშტაინის წარმომადგენელმა, თენგიზ აკობიამ საუბარი მადლობით დაიწყო და აღნიშნა, რომ ძალიან დიდი შრომაა ჩადებული იმაში, რომ ისინი დღეს ამ ეტაპამდე მოსულიყვნენ, ამიტომ მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს ვინც ჩართული იყო ამ პროცესში. აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელება რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს რეალური პრობლემები და მათ კერძო სექტორთან და განათლების სექტორთან ერთად შემუშავებული პროგრამებით და შეხმატკბილებული მუშაობით შესაძლებლობა ექმნებათ კარგ შედეგს მიაღწიონ ამ სფეროში.

პროექტის მენეჯერმა ნიკა ჩაჩხიანმა განაცხადა, რომ უდიდესი შრომა ჩაიდო იმისათვის, რომ ამ ეტაპამდე მოსულიყვნენ, ბევრი მხარე იყო ჩართული, როგორიცაა USAID პროფესიული განათლების პროგრამა, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, შვეიცარიის საელჩო, რომელიც ეხმარებოდა მათ, ასევე ჩართული იყო ბლაუენშტაინთან ერთად შვეიცარიული კომპანია, ბერნის უნივერსიტეტი პროგრამების შემუშავებაში, რათა მაქსიმალურად შვეიცარიულ სტანდარტებთან შესაბამისი ყოფილიყო პროგრამები, ბოლოს მან მადლობა გადაუხადა ყველა ჩართულ პირს.

ნინო ელბაქიძემ განაცხადა, რომ ძალიან სასიამოვნო იყო კოლეჯ „ერქვანთან“ თანამშრომლობა, სრული ჰარმონიით ითანამშრომლეს და მისთვის აღმოჩენა იყო ბლაუენშტაინი, რომელიც ამკვიდრებს ახალ შვეიცარიულ სტანდარტს.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ დღის წესრიგის მიხედვით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროგრამები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება“ /02049/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება /02049/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა“ /02050/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა /02050/ **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა“ /02051/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა /02051/ **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება“ /02052/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება /02052/ **(დანართი 6).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება“ /02053/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, 1. სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება /02053/ **(დანართი 7).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა“ /02054/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მეცხოველეობა - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა /02054/ **(დანართი 8).**

9. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ /01969/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 8 აგვისტოს №955097 ოქმის, „შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 8 აგვისტოს №956065 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის მიერ 2024 წლის 21 აგვისტოს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოდგენილ იქნა განახლებული (განაცხადი ID 01969). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №1038849 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ელდარ კაშიამ შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

პირველი ვიზიტის დროს გამოვლენილი იყო ხარვეზი:

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია
განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით და პროგრამის შეფასებისას დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის მეტი წილი (80 საათი) ეთმობა თეორიული კომპონენტის სწავლებას, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს, როგორც აღინიშნა, 40 საათი ეთმობა, თუმცა ამ საათების რაოდენობიდან მინიმუმ 10 საათი უნდა დაეთმოს პრაქტიკული ნაწილის სამი შედეგის განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო დარჩენილი საათები (30 საათი) არ არის საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების შეძენის და განვითარებისკენ. შესაბამისად ქვესტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.
ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 15 კვირაა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 4-24 საათი, სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება დაგეგმილია ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ, ხოლო განმავითარებელი შეფასება განხორციელდება ყოველკვირეულად. თეორიული სწავლება (48 საათი) განხორციელდება დაწესებულების სასწავლო გარემოში პირველ-მეათე კვირას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც ეთმობა მეთერთმეტე-მეთხუთმეტე კვირა (72 საათი) რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის ობიექტებზე.
წინა ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრილია.

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია
ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს
რეკომენდებულია პროგრამის მიზნებიდან და თემატიკიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - კალმახის მომშენებელი.
განახლებულ პროგრამაში, დაწესებულებამ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის – ISCO-08, დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად პროგრამის სახელწოდება დატოვა იგივე - „კალმახის მოშენების სპეციალისტი“.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი, შესაძლებელი იყო ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის „კალმახის მოშენების სპეციალისტი“ /01969/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ: 417878130) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კალმახის მოშენების სპეციალისტი /01969/ **(დანართი 9).**

10. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /02075/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა დოლაბერიძემ, მან ისაუბრა პირველ სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო მეორე და მესამე სტანდარტის განხილვა გააგრძელა ცენტრის წარმომადგენელმა. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 სექტემბრის №1055501 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მანანა დოლაბერიძემ შეისწავლეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ (ID 02075) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 6 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახმწიფო უნივერსიტეტში, მისამართზე ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 2.4 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ აღნიშნული შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისობის მიზნით, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს გარეთა კიბის (საევაკუაციო) მონტაჟთან დაკავშირებით, თუმცა მე-2 კორპუსში, მეოთხე სართულზე, სადაც არის სასწავლო პროცესისთვის განსაზღვრული A გარემო 20 მსმენელზე, ასევე ლაბორატორია, სადაც ჩატარდება პრაქტიკული კომპონენტის ნაწილი, სარემონტო სამუშაოები დასრულებულია, შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა თავისი ძირითადი ფუნქციური მახასიათებლებით (გამოცდის პროცესში) არის გამართული, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდის აქტით. ვინაიდან პირველ და მე-2 კორპუსში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელიც ჯერ არ არის დასრულებული,

მთლიანად სახანძრო უსაფრთხოების საბოლოო დასკვნა ჯერ არ არის გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ.
წარმოდგენილი პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 24 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26.
პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელ. სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.
პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: კვალიფიკაცია პროგრამის შესამაბის დარგში. ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, ასევე ჯანდაცვაში და ფარმაციაში. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა 24 კვირაა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 15 საათი. ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკურ ასისტენტს სამუშაოთა შესრულება უწევს, როგორც დახურულ სივრცეში ექსპრეს-ლაბორატორიული კვლევების ჩატარებისა და საანალიზო ნიმუშების აღებისას. სამუშაო ძირითადად მოიცავს სტანდარტულ ოპერაციებს და მოითხოვს ინტელექტუალურ, სენსორულ, ემოციურ დატვირთვას. პროგრამაზე დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად მიიღოს სულ 20 მსმენელი.
სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები.
  პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - თეორიული კომპონენტი (A - გარემო) განხორციელდება სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, სასწავლო აუდიტორია გათვლილია 20 მსმენელზე და აღჭურვილია თეორიული მეცადინეობისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ინვენტარით.
პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, პარტნიორ ორგანიზაციებში: შპს "ავერსის კლინიკასა" და შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრში“. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში ერთდროულად/ჯგუფში შესაძლებელია 5 მსმენელის მიღება.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 8 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში ამ ქვესტანდარტთან მიმართებაში გამოვლინდა ხარვეზი, რაც აღინიშნა პრეზენტაციაში.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის და ჩარიცხვის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლში გაწერილია, თუ როგორ ხდება შერჩევის პროცედურები.

უნივერსიტეტი არის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს როგორც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ასევე სადოქტორო პროგრამებს. დაწესებულებას აქვს ვებგვერდი - https://www.sou.edu.ge/, ასევე აქვს სოციალური ქსელი. დაწესებულება 2018-2022 წლებში ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, სადაზღვევო აგენტი და ვებ ინტერფეისის დეველოპერი. შესაბამისად, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.
2021 წლიდან პროფესიული გადამზადების პროგრამას ლაბორატორიის სამედიცინო ტენიკური ასისტენტი. უნივერსიტეტმა ამ წლებში განახორციელა აღნიშნულ პროგრამაზე 2 ნაკადის მიღება, გაიცა 36 სერტიფიკატი. შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში https://e-vet.emis.ge/ ასახვას. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების გარემოს ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეკონკრეტებინათ, რა ეტაპზე იყო სახანძროსთან დაკავშირებული პროცესები და ასევე დაინტერესდაა თუ რა ვადა იყო საჭირო საკითხის მოსაგვარებლად.
ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რომეო გალდავამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ორი სართული არის გასარემონტებელი, დადებით დასკვნას ვერ გასცემს უწყება, სანამ არ დასრულდება სარემონტო სამუშაოები, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ წყალმომარაგების სისტემები და ცეცხლმაქრები არის გამართული და ამ მიმართულებით დასკვნებიც აქვთ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები გარკვეულები მიმართულებით, თრიღიც არის განსაზღვრული, სამუშაოები დასრულდება წლის ბოლომდე.
ამის შემდეგ საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა რომ არ დაუჭერდა მხარს ამ საკითხს, თუ დაწესებულება სრული სახანძროს დასკვნის შემდეგ არ დაიწყებდა სასწავლო პროცესს, მან დასძინა, რომ მათ მიეცემათ განხორციელების უფლება, თუმცა დათქმით, რომ სასწავლო პროცესი მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების საბოლოო დასკვნის მიღების შემდეგ დაიწყება. რასაც საბჭოს თავმჯდომარეც დაეთანხმა და განაცხადა რომ ამ დათქმით შესაძლებელია პროგრამას მიენიჭოს განხორციელების უფლება, რადგან სტანდარტით სახანძროს დასკვნა აუცილებელია უფლების მისანიჭებლად..
ამის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა დაფინანსებაზე განაცხადის შეტანა, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ თუ დაწესებულება გაითვალისწინებს საბჭოს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, მაშინ მათ შეეძლებათ დაფინანსებაზეც განცხადების შეტანა და ეს მათ რაიმე ბარიერს არ შეუქმნის.
საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით შესაძლებელი იყო საკითხის კენჭისყრაზე დაყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი“ /02075/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 205524700) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი /02075/ **(დანართი 10).**

11. შპს ელიტ-ტექნოლოჯში „საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი“ /02060/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №1036284 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სოფიკო ბექირაძემ და დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ განახორციელეს ვიზიტი შპს ,,ელიტ-ტექნოლოჯში“ მისამართზე თბილისი, ჭავჭავაძის 37მ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.6 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.6 – პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის მე-2 სწავლის შედეგი, ისე რომ უფრო მეტად იყოს მიმართული სწავლის შედეგით განსაზღვრული საკითხების კონკრეტული ცოდნის შეძენაზე.

ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

რეკომენდებულია დაწესებულების საკუთრებაში არსებული შესაბამისი ლიტერატურა აისახოს პროგრამის სასწავლო რესურსში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ჭავჭავაძის 37 მ.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ელ. სისტემაში წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი „საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი“-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანშეწონილობა“, სადაც აღწერილია კვლევის საფუძველზე შემუშავებული, შრომის ბაზრის ამჟამინდელი მდგომარეობა, კვალიფიციური კადრების საჭიროება, პროფესიული პროგრამის სარგებელი, გამოწვევები, სამომავლო შედეგები, უმუშევრობის მაჩვენებელი და რეგიონის ეკონომიკური საჭიროებები. საყურადღებოა, რომ საქართველოს მასშტაბით არ არსებობს მსგავსი პროფილის სასწავლო პროგრამა სწავლების არცერთ საფეხურზე, შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია უშუალოდ მსგავსი პროფილის მქონე სერტიფიცირებული დარგის სპეციალისტების მომზადება.

პროგრამის სახელწოდება, მიზანი და შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საგზაო მონიშვნების მიმართულებით - მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილების ქონა. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება პროფესიის მოსინჯვით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლ დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 (ოთხ) კვირას, სულ 68 საათს. კვირეული სასწავლო დატვირთვა პირველი 4 კვირის განმავლობაში შეადგენს, თითოეულ კვირაში 9 საათს, ხოლო მომდევნო ორი კვირის მანძილზე, თითოეულ კვირაში 18 საათს.

პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. პირველი 4 კვირა ეთმობა თეორიულ და პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას, ხოლო დანარჩენი სასწავლო კვირეებში ისწავლება მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტი. შპს ,,ელიტ-ტექნოლოჯი“ წარმოადგენს კომპანიას, რომელიც ოპერირებს საგზაო მონიშვნების წარმოების ბაზარზე, აქვს მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. კომპანია მიმდინარე ეტაპზე მუშაობს სრული დატვირთვით, რაც შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესი უშუალოდ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელდეს. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის სრული მოცულობა 36 საათი გატანილი აქვს უშუალოდ პრაქტიკის განხორციელების ადგილზე. ამდენად, პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი პროგრამით.

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი, რომლებიც არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა A სასწავლო გარემოს და იქ განთავსებული მატერიალური რესურსის

არსებობა/შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან. განხორციელდა C სასაწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შესაბამისობის შეფასება მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. პარტნიორი ორგანიზაცია თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე სრულად უზრუნველყოფს მსმენელთა პრაქტიკულ სწავლებას წინასწარ განსაზღვრული პერიოდის მითითებით.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს „ელიტ-ტექნოლოჯის“ კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი დარგის განვითარებაში, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელს. ინტერვიუირებისას დადგინდა მათი მზაობა განვითარებისკენ. ისინი ორიენტირებულნი არიან ხარისხზე და ზუსტად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული აქვს პროგრამა.
იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით. იურიდიულმა პირმა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები, რომელის მიხედვითაც განმახორციელებელი სუბიექტის ხედვაა პროფესიული გადამზადების პროგრამით მიმდინარე სასწავლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელი იყოს დაწესებულების ყველა რგოლის კოორდინაციით ერთმანეთთან და მსმენელზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.
3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ ორგანიზაციის წარმომადგენლებს სთხოვა გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია და ეთანხმებიან თუ არა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რკომენდაციებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა თორნიკე ოქროპილაშვილმა განაცხადა, რომ აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტ-ტექნოლოჯში „საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი“ /02060/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ელიტ ტექნოლოჯის (ს/კ: 206334288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი /02060/ **(დანართი 11).**

12. შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტას „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02100/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლი 3 სექტემბერის №1054236 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნინო ხელაძემ და დარგის ექსპერტმა ირმა ორაგველიძემ 2024 წლის 9 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტაში, მისამართი: თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქუჩა №17. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,, ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 40, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის №17.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრმა ლეპოტამ, წარმოადგინა პროგრამის მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი/დოკუმენტი, სადაც დასაბუთებულია აღნიშნული პროგრამის საჭიროება.

პროგრამის სახელწოდება, მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, რაც დასტურდება პროგრამის დოკუმენტით. პროგრამის სახელწოდება არ არის

შეცდომაში შემყვანი და მისი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი, თემატიკა და სწავლის შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა -გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით
გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი
სწავლის შედეგების ადეკვატურია. ინვენტარი/აღჭურვილობა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირის რაოდენობა, იძლევა საშუალებას ერთდროულად მოემსახუროს 40 მსმენელს წინასწარ გაწერილი სასწავლო ცხრილის მიხედვით. პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტის (40 სთ) განხორციელება იგეგმება დისტანციური სწავლების მეთოდით, სინქრონული კომუნიკაციის ფორმით, ZOOM-ის და GOOGLE FORMS-ის პლატფორმების გამოყენებით. თუმცა ცენტრს საჭიროების შემთხვევაში გამოყოფილი აქვს ფართი (A გარემო), სადაც მსმენელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება A გარემოდან დაესწროს ლექციებს. პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება ცენტრის კოსმეტოლოგიურ კაბინეტებში (სულ 20 მსმენელისთვის, ან 40 მსმენელი ცვლებში) (C გარემოში). პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება, ასევე, ორ პარტნიორ ორგანიზაციში - შპს „ლაზერ მედი+“ და შპს „სითი ლუქსი“, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. თითოეული პრაქტიკის ობიექტი მზად არის ერთდროულად მიიღოს 10 მსმენელი, არსებული ფართი, მატერიალური და ადამიანური რესურსი იძლევა 10-10 მსმენელისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. დისტანციური სწავლების დროს ცენტრი უზრუნველყოფს ყველა მსმენელისათვის დადგენილი ცხრილის მიხედვით ჩართვის ლინკის მიწოდებას. ლექციის წარმართვის და მსვლელობის პროცესში მეტი თვალსაჩინოებისთვის იყენებენ Power point-ში აწყობილ პრეზენტაციებს. ცენტრმა უზრუნველყო მათი გადამზადება ამ მიმართულებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პრაქტიკული ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ კომპანიასთან - შპს სითი ლუქსი და შპს ლაზერმედი +.
დისტანციურად სწავლის შედეგების დადასტურებისათვის გამოიყენება ორი პლატფორმა www.zoom.com, როგორც დაკვირვება ჩანაწერის განხორციელებისთვის, ხოლო უშუალოდ ტესტირებისთვის და მტკიცებულების შენახვის უზრუნველყოფისათვის Google Forms პლატფორმა. შეფასების დასრულებისას, ყველა მსმენელი ინდივიდუალურად იგებს შეფასების შედეგს, ეს კი უზრუნველყოფს მსმენელისთვის საკუთარი შედეგის კონფიდენციალურობის დაცვით გაცნობის საშუალებას. განმახორციელებელ პირებს აქვთ გამოცდილება შესაბამისი პლატფორმის მეშვეობით შეაფასონ მსმენელები.
პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 8 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. პრაქტიკული სწავლებისთვის, ცენტრს გამოყოფილი აქვს 2 C ტიპის სასწავლო გარემო, მსმენელების პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება ასევე ორ პარტნიორ ორგანიზაციაში (შპს „ლაზერ მედი +“ და შპს „სითი ლუქსი“), რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, აღინიშნა, რომ ცენტრი პროფესიული მომზადების პროგრამას ,,ესთეტიკური კოსმეტოლოგია'' ახორციელებდა 3 წლის განმავლობაში, დაწესებულებას ჰყავდა 298 მსმენელი, კურსადამთავრებული კი 297 (24

ჯგუფი), დაწესებულებას აქვს სწავლების გამოცდილება. სოციალურ პლატფორმაზე, პროგრამასთან დაკავშირებით, ასახულია საზოგადოებისთვის სანდო და უტყუარი ინფორმაცია, ვინაიდან დაწესებულება უკვე ახორციელებდა ამავე პროგრამას. სასწავლო პროცესის მენეჯერი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მსმენელების და კურსდამთავრებულების მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. ასევე, გაცემული სერტიფიკატების აღრიცხვას. ცენტრს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი და სერტიფიკატის გაცემის წესი. დაწესებულება თანამშრომლობს საქართველოს განათლების, ახალგაზრდობის და მეცნიერების სამინისტროსთან, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ აქვს კითხვები და წარმატება უსურვა დაწესებულებას და მიმართა დაწესებულებას კომენტარისთვის, დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ყველა ჩართულ პირს თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტრ ლეპოტას „ესთეტიკური კოსმეტოლოგია“ /02100/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკური და თერაპიული კოსმეტოლოგიის ცენტ ლეპოტას (ს/კ: 405426436) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ესთეტიკური კოსმეტოლოგია /02100/ **(დანართი 12).**

საბჭოს სხდომა 15:00 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა.

13. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ /02005/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 4 სექტემბრის №1061670 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დარგის მოწვეულმა ექსპერტმა ელისო მურვანიძემ და ხარისხის ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ შეისწავლა პროფესიული გადამზადების ,,ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ პროგრამის დოკუმენტაცია.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯმა ცენტრის ელექტრონულ სისტემაში (qms.eqe.ge) 2024 წლის 10 ივნისს წარმოადგინა განაცხადი პროფესიული მომზადების პროგრამის "ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი" (კოდი 02005) განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ, რომელსაც პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელმა საბჭომ მიანიჭა ერთვიანი ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის (2024 წლის 21 აგვისტოს №996323 ოქმი, საბჭოს 2024 წლის 21 აგვისტოს №998979 გადაწყვეტილება).

დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზი 2024 წლის 2 სექტემბერს და გაითვალისწინა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, კერძოდ, პროგრამის სახელწოდება დაკორექტირდა შემდეგნაირად - "ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი", ხოლო პროგრამის სახედ პროფესიული მომზადების პროგრამის ნაცვლად, განისაზღვრა პროფესიული გადამზადება.

შეიცვალა პროგრამის მიზანი და სახეც. ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტის პროფესიული გადამზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კადრი, რომელსაც ექნება ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. კერძოდ, ეცოდინება: შშმ და

სსსმ პირთათვის სასწავლო პროცესისა და გაკვეთილის ტრანსფორმაციის პროცესები; სხვადასხვა დაავადებისა და დარღვევების სპეციფიკის მიხედვით ფიზიკური ვარჯიშების შედგენა-გამოყენება; ადაპტური ფიზიკური აღზრდის პროცესის შეფასება, დაგეგმვა, წარმართვა და მიღწეული შედეგების კონტროლი. ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტს შეუძლია წარმართოს სხვადასხვა ნოზოლოგიის და ასაკობრივი ჯგუფისთვის ფიზიკური აღზრდის მეცადინეობა შესაბამისი პრინციპების,

ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების გათვალისწინებით. ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი ზრუნავს ფიზიკურ აღზრდაში შშმ და სსსმ პირების ინტეგრაციის შესაძლებლობებზე.

ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა სამუშაო გამოცდილება: ბაკალავრის ხარისხი ან პროფესიული განათლების დიპლომი ფიზიკური აღზრდის, სპორტის, მედიცინის, ფსიქოლოგიის ან მომიჯნავე სფეროებში - 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ მიესალება, როდესაც დაწესებულება იზიარებს გაცემულ რეკომენდაციებს, ხარვეზებს და დასძინა, რომ ხარვეზები გამოსწორებულია და არ

აქვს კითხვები და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“ /02005/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი /02005/ ქ. თბილისში **(დანართი 13).**

14. შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება" /02056/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის

13 აგვისტოს №970478 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის მოწვეულმა დარგის ექსპერტმა საბა იმედაძემ 2024
წლის 10 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ბაუმერში ქ. თბილისში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია 1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში
ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას
თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან შპს ბაუმერში. რეკომენდებულია მსმენელებისთვის გაცნობითი ექსკურსიის/ვიზიტის განხორციელება შპს ბაუმერის რომელიმე ობიექტზე, რათა ნამდვილ მუშა პროცესის გარემოში ნახონ გათბობა-გაგრილების დანადგარები, გაანალიზონ და დააკვირდნენ შესწავლილ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კ. სტანისლავსკის ქ. №1.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე ქვესტანდარტი. პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ, დოკუმენტის თანახმად დღევანდელ სწრაფად განვითარებად ბაზარზე, გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების (HVAC/R) ინდუსტრიაში კვალიფიციურ პროფესიონალზე მოთხოვნა უფრო და უფრო მზარდია. ამას განაპირობებს, როგორც საკანონმდებლო მოთხოვნების და მიდგომების გამკაცრება, ასევე ტექნოლოგიებისა და ენერგოეფექტურობის მიმართულების მუდმივი განვითარება. ამიტომ, საკანონმდებლო და ტექნოლოგიური ცვლილებების კვალდაკვალ, ამ სფეროში საჭიროა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, რომლებიც ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს მისცემს ან გაუღმავებს ცოდნას და განუვითარებს უნარებს, რომლებიც საჭიროა ამ მიმართულებით.
პროგრამის სახელწოდება, მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - MEP ინდუსტრიაში არანაკლებ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა; პროფესიული პროგრამების ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის/სახელმწიფო სერტიფიკატი; დოკუმენტის არქონისას, მსურველებისთვის ტესტირების ჩატარება ცოდნის შესამოწმებლად. ასაკი :18 წლიდან, ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა 100.
პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში „შპს BAUMER“-ის მიერ. ყოველდღიურად 3 საათი დათმობილი ექნება თეორიულ მეცადინეობას, პრაქტიკული კომპონენტი იწყება მეხუთე კვირიდან. ყოველდღიურად 5-5 სტუდენტი გადანაწილდება პრაქტიკული კომპონენტის შესასწავლად დღიურად 2-2 საათით.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პრაქტიკული კომპონენტის სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში შპს ბაუმერის მიერ. ამისთვის შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია 50 კვ.მ. ფართი, სადაც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის სწავლება. ადგილზე აქვთ ყველა ძირითადი ინსტრუმენტი/აღჭურვილობა, იმისათვის, რომ მსმენელებმა შეძლონ პრაქტიკაში ისწავლონ აგრეგატის მონტაჟი, მილების გადაბმა, ფრეონის ჩატუმბვა, ფრეონის ამოტუმბვა, სისტემის დაჰაერება ვაკუუმატორით, გაჟონვის შემოწმება და ა.შ. პროგრამით გათვალისწინებული

პრაქტიკული საკითხები. დასტურდება, რომ პროგრამა ნამდვილად ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, თუმცა გაიცა რეკომენდაცია.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 7 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. აღნიშნულ პირებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.
ექსპერტის მიერ ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმე და შედგა სამ განმახორციელებელთან გასაუბრება. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისათვის აქვს ერთი A გარემო თეორიული კურსის განხორციელებისათვის, აღჭურვილი საჭირო მატერიალური რესურსით. პრაქტიკული ნაწილი განხორციელდება იმავე შენობის პირველ სართულზე C გარემოში. ვიზიტის დროს დათვალიერდა A და C გარემოს აღჭურვილობა.
დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 7 სასწავლო რესურსი, როგორც მატერიალური სახით, ასევე აქვთ ელექტრონული ბიბლიოთეკა და მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. აქვთ პრინტერიც და შეუძლიათ ამობეჭდვა და მსმენელებისთვის მიწოდებაც საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ მოთხოვნებთან.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კომპანია დაარსდა 2013 წელს. გუნდი დაკომპლექტებულია ექსპერტული ცოდნის მქონე ქართველი და უცხოელი პროფესიონალებისგან. მთავარ საქმიანობას კი ბაზარზე MEP სისტემების მიმართულებით, სრული სერვისის მიწოდება წარმოადგენს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თავდაპირველად ბაუმერის გუნდი მომხარებელს გათბობის და წყალმომარაგების სისტემების მონტაჟს სთავაზობდა, ამის შემდეგ კომპანიის საქმიანობას დაემატა HVAC სისტემების სრული ინსტალაცია და ექსპლუატაციის შემდგომი სერვისი. დღეს კი ბაუმერი წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც MEP მასალების იმპორტს/რეალიზაციას, პროექტირებას, მონტაჟს და ექსპლუატაციის შემდგომ სერვისს სთავაზობს მომხმარებელს. კომპანია ბაუმერს, 10 წლის განმავლობაში განხორციელებული აქვს სხვადასხვა სირთულის 170-ზე მეტი პროექტი და 100-ზე მეტი კმაყოფილი, ერთგული მომხმარებელი ჰყავს.
შპს ბაუმერმა პირველად შემოიტანა პროფესიული გადამზადების პროგრამა განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით. მანამდე ატარებდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და გადამზადებებს თანამშრომლებისთვის.
კომპანიას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტები 3.2 და 3.4 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ - პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები. სისტემატურად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, გადახედვას და გაუმჯობესებას.
რაც შეეხება დანარჩენ ქვესტანდარტებს (3.3, 3.5, 3.6 და 3.7), აღინიშნა, რომ გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საინტერესო ორგანიზაციაა, ასევე საინტერესოა წარმოდგენილი პროგრამა და მიესალმება ასეთი კომპანიის ფორმალურ სივრცეში შემოსვლას, მან ასევე აღნიშნა, რომ კითხვები არ ჰქონდა და მიმართა კომპანიის წარმომადგენლებს კომენტარისთვის.

დაწესებულის წარმომადგენელმა ყველა ჩართულ პირს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ ყველა იმ რეკომენდაციას, რაზეც დარგის ექსპერტმა მიუთითა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუმერის „მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება" /02056/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბაუმერს (ს/კ: 405170933) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება /02056/ **(დანართი 14).**

საბჭოს სხდომა 15:40 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ.

15. შპს რებელ სტუდიოს „ვიზაჟისტი“ /02074/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 29 აგვისტოს №1027910 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ 2024 წლის 5 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს რებელ სტუდიოში ქ. თბილისში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ვიზაჟისტი" განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.2 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში

1.2. ქვესტანდარტი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რომ დარგის მიმართულებით ბაზარზე დამკვიდრდა არასწორი პროფესიული სახელი „ვიზაჟისტი", რომელიც სასურველია ჩანაცვლდეს სწორი შესატყვისით: ,,მაკიაჟის სპეციალისტი", რასაც დაწესებულება დაეთანხმა;

1.6 ქვესტანდარტი - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

დაკორექტირდეს მეშვიდე სწავლის შედეგი და ტერმინი - გრიმი შეიცვალოს, როგორც -"სახის გაფორმება თემატურად" ან/და „თემატური მაკიაჟით"; ასევე, პირველ სწავლის შედეგში ,,ვიზაჟისტი" ჩანაცვლდეს ,,მაკიაჟის სპეციალისტით".
დარგის ექსპერტმა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10. პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი,ხიზანიშვილის 156.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რებელ სტუდიომ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, სადაც ასახულია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრის კვლევის ანალიზი. დოკუმენტში ჩამოყალიბებულია, თუ როგორ ზრდის გლობალურად, დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რებელ სტუდიოს მიერ წარმოდგენილი პროგრამა ხელს შეუწყობს მოსახლეობის სწრაფად დასაქმებას, თვითდასაქმებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.
როგორც აღინიშნა, პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია, რაც შეეხება პროგრამის მიზანს, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. სწავლება განხორციელდება რეალურ სამუშაო C გარემოში, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტანდარტით მოთხოვნილი და დანართით წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის

შედეგების მიღწევას. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით (ინტერნეტ რესურსები).
წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს შესაბამისობის შესახებ.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მესამე სტანდარტი ძირითადად არ ექვემდებარება შეფასებას, რადგან პირველად შემოდის ფორმალურ განათლებაში.
3.1 ქვესტანდარტთან დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ რებელ სტუდიოს მიზანია შექმნას ინოვაციული გარემო, რათა განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობა; უზრუნველყოს დასაქმებაზე ორიენტირებული პროგრამების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმებისუნარიანობის შექმნას; მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი მაღალი კომპეტენციის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები.
3. 2 და 3 4 ქვესტანდარტები არ არის დარღვეული, რადგან წარმოადგინა შემუშავებული დოკუმენტები - ,,პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის დამტკიცების, განხორციელებისა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი და პირობები“ და ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. 3.3, 3.5 ,3.6 და 3.7 ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შემოწმებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა დაედასტურებინათ, რომ ეთანხმებოდნენ გაცემულ რეკომენდაციებს, და დასძინა, რომ მათი თანხმობის შემთხვევაში გადაწყვეტილებაში აისახებოდა შეცვლილი სახელწოდება, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა და მადლობა გადაუხადა ყველა ჩართულ პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რებელ სტუდიოს „მაკიაჟის სპეციალისტი“ /02074/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს რებელ სტუდიოს (ს/კ: 402303501) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მაკიაჟის სპეციალისტი /02074/ **(დანართი 15).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:03 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
მზამავლსმეღლა
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02096	საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	60	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02098	საწყობის ლოგისტიკა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	60	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02049	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნორმირებული კვება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02050	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობის მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02051	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და მათი მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02052	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის პირველადი დამუშავება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10

დანართი 7

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02053	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქ. №10

დანართი 8

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02054	მეცხოველეობა-მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-შენახვა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	36	ქართული	15	ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. №10

დანართი 9

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01969	კალმახის მოშენების სპეციალისტი	მომზადება	მესამე	15	ქართული	15	ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №9

დანართი 10

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02075	ლაბორატორიის სამედიცინო ტექნიკური ასისტენტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	24	ქართული	20	ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26

დანართი 11

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02060	საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	15	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 37მ

დანართი 12

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02100	ესთეტიკური კოსმეტოლოგია	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	40	ქ. თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის №17

დანართი 13

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02005	ადაპტური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	23	ქართული	20	ქ. თბილისი. ე. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 14

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02056	მაცივარაგენტზე მომუშავე ცენტრალური გათბობა-გაგრილების სისტემების მომსახურება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	20	ქ. თბილისი. კ. სტანისლავსკის ქ. №1

დანართი 15

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02074	მაკიაჟის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	10	ქ. თბილისი. ხიზანიშვილის ქ. №156